საქველ-მოქმედო საქმისათვის ფულს უხვად სწირავენ.

*** ახალქალაქის მაზრის სოფლებს ტურქსსა და ხოსპის, გაზ. «Т. Л.»-ის სიტყვით, გაჩენილა შავი სახადი. 25 სექტემბრიდგან 1—2 ოქტომბრამდე ტურქში ავად გამხდარა და გარდაცვლილა 2, ხოსპში ავად გამხდარა 7, რომელთა შორის 5 გარდაცვლილა და 2 რჩება.

*** სექტემბრის თთვეს განმავლობაში ტფილისის საყასბოში სხვილფეხი საქონელი დაუკლავთ 4,864, და წვრილ-ფეხი 7,447, გადაუყრიათ უვარგისი ხორცი 195 სხვილ-ფეხის საქონლისა და 547 წვრილ-ფეხისა („Т. Л.“).

*** იმავე გაზეთს სწერენ სპარსეთიდგან: 1 ოქტომბერს, ჰერაკლიუსს შემდეგ, რომელიც გადაიხადა სახელმწიფოს მისიის სამღვდელოებამ რუსთის სახელმწიფოს მისიის წევრთა და წარმომადგენელთა, სპარსეთის მინისტრთა და რუსეთის ახალ-შენების მცხოვრებთა თანდასწრებით, თეირანში დაარსდა მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკის განყოფილება.

*** გაზეთ „Крымъ“-ს შეუტყვია, რომ ნახჩევანს (დონისა) აპირებენ სომხურის გაზეთის ბეჭდვასაო.

*** ტფილისის სასანიტარო კომისია ამ ჟამად სცდილობს უფრო კარგად შეისწავლოს ხოლერის ხელის შემწყობი მიზეზები და გასინჯოს ქალაქი სასანიტარო მხრივ. ამ საქმისა, კომისიის განუზრახავს გააკეთებინოს ახლად რუკები, რომელშიაც უფრო ცხადად უნდა იქმნას ნაჩვენები, სადაც ან სად არის გაყვანილი წყლის მილიდი და შემდეგშიაც სად უნდა გაიყვანონ. ამ გვარის ცნობის შეკრებით, უეჭველია, უფრო კარგად აიხსნება, თუ რა უწყობს ხელს ხოლერის გავრცელებას. კომისიამ გეოლოგიურად უნდა გამოიკვლიოს ის ადგილებიც, სადაც ავადმყოფობა გაძლიერებული იყო. ამისთვის კომისიას კიდეც აურჩევია ისეთი მცოდნე კაცი, რომელიც ამ სასარგებლო საქმისათვის თვის შრომას ძვირად არ აფასებს. გეოლოგიურ გამოკვლევას მოუნდება 800 მანეთამდე. ეს ფული კომისიამ ქალაქის გამგეობას უნდა მოსთხოვოს („Н. О.“).

*** 8 ოქტომბერს სოფ. სარაჩლის მცხოვრებელმა ისმაილ-ალი-ოღლიმ მეტეხის ჩამოსავალში დატვირთული ურემი დაატაკა ჯაფარ-ოღლის და მარცხენა ფეხის თითები დაწყვიტა. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს. დამნაშავე პასუხის-გებაში მისცეს.

## მთავრობის განკარგულებანი

კავკასიის მსროლელთა მესამე დრუჟინის პოდპოლკოვნიკი ასლამაზოვი გადაყვანილ იქმნა მე-14 საგრენადერო გენერალ კოტლიარევსკის პოლკში.

კავკასიის სამხედრო სამკურნალო ლაბორატორიის გამგეს, კოლეჟსკი სოვეტნიკს მკურნალს ლუნკევიჩს სტატსკი-სოვეტნიკობა ებოძა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქსნის-ხეობა.** 20 ოქტომბერი. ქართლის ზოგიერთს ალაგას უკვე დაიწყო რთველი და ზოგან-კი ამ თთვის გასულს დაიწყება, მაგრამ შარშანდელივით უხვს მოსავალს ღვინისას აღარ მოველით. ჯერ იყო და აპრილისა და მაისის სიცივემა ვენახებს ხეირი არ დაყარეს და შემდეგ ხომ სეტყვამაც ძრიელ დააზარალა გორის მაზრისა, ქსნისა და არაგვის ხეობის მკვიდრნი. მაგრამ ამ შეჩვეულს ჭირს კიდევ აიტანდა ჩვენის სოფლის ხალხი, რომ ვაზის ბოლოს მომლები და მომსპობელი სენი—მილდიუ (ობი) ნაცარი, ჭრაქი და სხვა მტერი სრულიად არ ანადგურებდეს ვენახებს.

ქართლის უდიდესი და განთქმული ვენახები სწორედ რომ სამწუხარო სურათს წარმოადგენენ, რადგანაც წინა წლებიდგან მოყოლებული დღევანდლამდე ზედი-ზედ ძალზედ ვრცელდება ობი, მრავალ-გვარი ვაზის მტერი: ვენახებს ფოთოლი აღარა რჩებათ, რქა აღარ ეზრდებათ და ნაყოფიც არ უმწიფდება. რა თქმა უნდა, სენით მოდებული, დაუმწიფებელი, ისვრიმივით მკვახე ყურძენიც ფრიად მდარე და გაფუჭებულს ღვინოს იძლევა, როგორც მაგალითად, წლევანდელი ღვინოები გამოდგა.

ამ გვარად დაავადმყოფებული ვენახები ადვილად საწამლებელია, მაგრამ ქართლში მხოლოდ შარშანდლიდგან დაიწყეს წამლობა და ისიც ქართლის საფილოქსერო დასმა ითავა და არა ადგილობრივ მკვიდრთა და მემამულეთ. პირ-იქით, ეს უკანასკნელნი თვალითაც უყურებდნენ საფილოქსერო დასის მიერ ვენახების წამლობას, როგორც სრულიად ახალსა და გაუგონარს ამბავს. მაგრამ კაცს გაჭირვებამ ხომ გაქცევა ასწავლა და, იმედია, დღევანდელი გაჭირებული და გათახსირებული ყოფა ვენახებისა ქართლელებსაც საგონებელში ჩააგდებს და დასის მოღვაწეობას იგინი თვალ-ყურის დევნებას დაუწყებენ.

ამ ჟამად ამ საქმის შესახებ მხოლოდ ერთად ერთი გორისა და დუშეთის მაზრის საფილოქსერო დასი ზრუნავს და მოქმედებს. დასის მოქმედების დაწყებისათანავე, გაზაფხულზედვე, ექსპერტმა-აგრონომმა თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა ქართულს ენაზედ შეადგინა და დაბეჭდა დარიგება, სადაც აღნიშნული იყო ვაზის მტერის მილდიუს ნიშნები და მის წინააღმდეგ მომზადებული საშუალება და წამლობა. ეს დაბეჭდილი დარიგება ყოველს სოფელში იყო გაგზავნილი. ამავე დასის დახმარებითა და ხელ-მძღვანელობით წლეულს ზოგიერთ სოფელში თავის ხარჯითაც უწამლეს ვენახებს პატრონებმა თავიანთ მამულებს და, რასაკვირველია, დიდი სარგებლობაც მოუტანა ამ წამლობამ პატრონებს. ამ სამაგალითოდ ნაწამლს ვენახებში დადის დღეს ზოგიერთი დაკვირვებული სოფლის კაცი და თავის თვალით ჰხედავს, თუ რაოდენი განსხვავება და საზღვარი სძევს უწამლავსა და ნაწამლს ვენახებს შორის და გულის ტკენით ამბობს: ნეტავი მეც მეწამლაო. მაგრამ ამას ამბობს სწორედ რომ ზოგიერთი. უმრავლესობა-კი ისევ ისე დაყრუებული და დაბრმავებულია, რომ სრულიად არ იჩენს სურვილს და ხალისს შემდეგისთვის მაინც უწამლოს თავის ვენახებს.

ჩვენის ხალხის ნივთიერ ცხოვრების განკარგებისა და კეთილ-დღეობის მსურველი არ შეიძლება არ დააფიქროს ამ გარემოებამ და ექსპერტი ი. ზ. ანდრონიკაშვილიც ყოველის მხრით სცდილობს ხალხს შეაგნებინოს იმ საქმის სარგებლობა, რომელსაც ემსახურება ისიცა და იმისი დასიც. ამ უკანასკნელს დროს ექსპერტი შეუდგა ვაზის სენის შესახებ ლექციების კითხვას ქართლის ყველა იმ სოფლებში, სადაც-კი იმისმა დასმა უწამლა ვენახებს.

პირველი ლექცია წაკითხულ იქმნა ქალაქს გორს 13-ს სექტემბერს; მეორე ლექცია სოფ. ხიდისთავს. ხიდისთავიდგან წასულს თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს წაუკითხავს ლექცია არაგვის ხეობის ზოგიერთს სოფელში დ იქიდგან გვეწვია მუხრანშიაც.

აქაც, მუხრანში, სკოლის ეზოში, 19-ს სექტემბერს წაიკითხა ლექცია ქართულს ენაზედ მილდიუსა (ობი) ნაცრისა და ფილოქსერის შესახებ. კარგს ქართულის მოსაუბრე ახალგაზდა აგრონომს უსმენდა ადგილობრივ მემამულეთა კნეინები, სკოლის მოწაფენი და მუხრანის საზოგადოების წარმომადგენელნი ვენახის მეპატრონენი. ექსპერტმა თვალდათვალ წარუდგინა სამაგალითო ნიმუშები, რომელნიც მოეტანათ ნაწამლსა და დაუწამლელს ვენახებიდგან თვალით დაანახვა ის იარიღი, აპარატი, საბერველი, გოგირდი, შაბიამანი და სხვა, რომლითაც ებრძვიან დღეს ვენახის გამანადგურებელს მტერს.

ამ ლექციისა და ხალხის გაფრთხილების შემდეგ, მან დაურიგა მაყურებელთ ქართულად დაბეჭდილი დარიგება ვაზის სენის შესახებ. დამსწრე საზოგადოებამ ახალგაზდა ექსპერტს მადლობა განუცხადა და ბევრმა გამოსთქვა სურვილი, რომ მომავალ წელს უეჭველად ვუწამლებთ ვენახებს; მხოლოდ ერთმა მოხუცებულმა გლეხმა ექსპერტს მოახსენა შემდეგი:

— კნიაზო, მართალია, რასაც თქვენა ბრძანებთ, მაგრამ ჯერ ჩვენი ბატონი რატომ არ უწამლებს, რომ ჩვენც მერე იმის მიხედვით შევუდგეთ საქმესაო.

მართლაც, რასაკვირველია, რომ მუხრანის დიდი მემამულე, თავ. ივ. კ—ძე მუხრან-ბატონი არა სწამლობს თავის საოცარსა და უზარ-მაზარ ზვრებს, რომელიც ძლიერ გაფუჭებულია მილდიუსა და ნაცრისაგან. მაგრამ ეს კიდე არაფერი, რომ არ სწამლობენ შეძლებული მემამულენი და თავადები თავიანთ ვენახებს. იმათ შორის, სამწუხაროდ, სჩნდებიან ისეთნიც, რომელნიც, იმის მაგივრად რომ ხალხს არიგებდნენ და ეხმარებოდნენ გაჭირების დროს, უმეცარ გლეხთა წინაშე აცხადებენ ეჭვს ვენახების წამლობის შესახებ და, ვინ იცის, ხალხს რას არ აფიქრებინებენ. ჩვენ გულის ტკენით აღვნიშნავთ ასეთს სამწუხარო ამბავს და ვისურვებთ შემდეგში არ განმეორებულიყოს.

მუხრანისა და ოძისიდგან ექსპერტ-აგრონიმი ი. ზ. ანდრონიკაშვილი გაჰყვა ქსნისა და ლეხურის ხეობასაც და უკანასკნელს ლექციას წაიკითხავს სოფ. მეჯრუხევში.

დასასრულ, ვისურვებთ, რომ ამ ექსპერტისა და იმისის დასის მოქმედებას დიდი, საგრძნობელი ნაყოფი მოეტანოს და ქართლის თავად-აზნაურობა და, გლეხკაცობაც ცოტათი მაინც არის შეგნებითა და ცნობიერებით შესდგომოდეს თავისის მეურნეობისა და ყოველ დღიურ ცხოვრების განკარგების საქმეს.

## ტფილისის ბაზარი

ქალაქ ტფილისში ვაჭრობა ძალზე დაქვეითებული იყო სამის თთვის განმავლობაში; 15 ენკენის თვიდგან-კი დაეტყო მოცოცხლება, თუმცა წარსულის წლის ვაჭრობასთან ვერ მოვა; მაგრამ ამ ჟამადაც დიდი გასავალი აქვს ზოგიერთს ნაწარმოებს, მაგალითად მატყლს, რომელიც ბლომად ისყიდება: აი ზოგიერთი ცნობები ტფილისის ბაზრის შესახებ:

**მატყლი.** უმთავრესი საწყობი ამ საქონლისა არის არწრუნის ქარვასლაში, მე-5 ნაწილში, სიონის ტაძრის მახლობლად, სადაც დღემდე 50,000 ფუთი არის მოტანილი. ფუთი ღირს 6 მან. 50 კ. მატყლი კარგად ისყიდება და ამ დღეებში საზღვარ გარედაც გაიტანენ.

**ბამბა.** ბამბის ვაჭრობა ჯერ სუსტად მიდის, მაგრამ ამ დღეებში დიდძალს ბამბას მოელიან ერევნიდგან. ფასი ბამბისა არის შემდეგი: ამერიკის ბამბა იყიდება 8 მ., მეორე ხარისხისა—7 მ.—20 კ.

**ფქვილი.** რადგანაც წელს ნაკლები მოსავალი იყო პურისა ერევნის გუბერნიასა თუ სხვა ადგილებშიაც, ამიტომ ტფილისს პური მოაქვთ ბორჩალოს და ტფილისის მაზრებიდგან და ისყიდება 1 მ.—15, 20, 30 კ.

**ქერი.** ქერი უმთავრესად ბორჩალოს მაზრიდგან მოაქვთ და იყიდება 55—60 კ. გუმბრიდგან მოტანილიკი—60—70 კ.

**შვრია.** შვრიასაც კარგი ფასი აქვს, ფუთი 60—70 კ. ღირს.

დაემორჩილოს ხალხის სურვილს. ჩინებული სამართალია განა? მაშ ვინ იცის სოფელზედ კარგა სოფლის ვითარება და ვინ დაარიგებს და ასწავლის სოფლის მოსამართლეს, თუ არა თვით სოფელი? დანიის სოფლის მოსამართლეს მოწყობილება მდიდრული არ არის. მოსამართლეს მდივანი და საქმეთ მწარმოებელი არ ჰყავს და არც საჭიროა; საქმე ცოტა აქვს და ყველაფერს თითონ აკეთებს. სასამართლო თვით მოსამართლეს სახლშია მოთავსებული. ოთახში სდგას სტოლი, სტოლზედ ჯვარცმაა და კანონისა და სამართლის წიგნები. სოფლის იასაული მოსამართლეს უწყებების დამტარებელიცაა. მოსამართლეს ცოტა საქმე აქვს და დინჯად, აუჩქარებლად არჩევს საქმეს. მოსამართლე დაწვრილებით განიხილავს საქმეს, მოწმებს ჩვენებას ჩამოართმევს, გასინჯავს იმ ადგილს, საცა საქმე მომხდარა, არიგებს მომჩივანთ, დამნაშავეს დანაშაულს უმტკიცებს და შემდეგ სდებს მსჯავრს. სოფლის მოსამართლე განათლებული კაცია და ბევრი რამ იცის სოფლისა, თითოეულ მცხოვრებს კარგად იცნობს. უმეტესს ნაწილად სოფლის მოსამართლედ იმავე სოფლის ღვიძლშვილს ირჩევენ ხოლმე. საზოგადოდ დანიელი ზნე მაღალი ადამიანია. ავაზაკობა-ქურდობა ძლიერ იშვიათია და სამუდამოდ ჩირქსა სცხებს დამნაშავეს. სოფელში საპატიმრო არ არის, დამნაშავეს მახლობელ ქალაქში ჰგზავნიან ციხეში დასაპატიმრებლად.

**

პასტორისა და მოსამართლეს შემდეგ დანიის სოფელში საპატიო კაცი—სოფლის მკურნალია. ამასაც სწავლა კოპენჰაგენში აქვს დასრულებული და სოფელსა ჰყავს მოწვეული მკურნალად. სოფლის მკურნალი ძლიერ გამოცდილი და დახელოვნებული უნდა იყოს. იმას არ შეუძლიან რთულის ავადმყოფობის წამლობა და ასეთს ავადმყოფს პირდაპირ ქალაქში ჰგზავნის. სოფლის მკურნალმა ყველა ავადმყოფობის წამლობა უნდა იცოდეს. ერთსა და იმავე დროს თვალის ექიმიც უნდა იყოს, ბებიაობის მცოდნეც, კბილის ექიმიც, ჯარა ექიმიცა და სხ. ავადმყოფთ უფასოდა და გულ-მოდგინედ სწამლობს. მკურნალს აკრძალული არა აქვს ფულს გარდა განკურნებულ ავადმყოფთაგან მცირე საჩუქარი მიიღოს. მაგალითებრ: ლამაზი ჩიბუხი, სიგარები, პატარა ბოჩკით ლუდი, მოქარგული ბალიში და სხ. მკურნალსაც წელიწადში 1,000 კრონი (600 მან.) ეძლევა ჯამაგირად, სახლი და სახნავ-სათესი ადგილი. მკურნალი განაგებს სოფლის აფთიაქს, სამრევლო სამკურნალოს და სასანიტარო საქმეს. მკურნალს შველის ორი ან სამი ფერშალი. დანიის სოფელი დიდს პატივსა სცემს მკურნალს. მკურნალის დაბადების დღეს სოფელი დიდის ამბით დღესასწაულობს, მკურნალის სახლს ყვავილებითა და მწვანით მორთავენ ხოლმე და სოფლის ხორო სერენადას უმღერის.

**

მეოთხე ინტელიგენტი სოფლისა—მასწავლებელია. დანიის მასწავლებელს საპატიო ადგილი უჭირავს სწავლა-განათლების საქმის ისტორიაში. აწინდელი ევროპის პირველ დაწყებითი სკოლა დანიის მასწავლებელმა შეჰქმნა. დანიაში 1814 წლიდგან პირველ დაწყებით სკოლაში სწავლა ყველასათვის სავალდებულოა. დანიის სკოლებში ყოველ წლივ 200,000-მდე ყმაწვილი სწავლობს, ღარიბი დ მდიდარი. ამ რიცხვიდგან მხოლოდ $^1/_6$ ქალაქის სკოლებშია და დანარჩენი სოფლებისაში. დანიის სკოლა სწორედ რომ საუკეთესოდ არის მოწყობილი და ჩვენს საშუალო სასწავლებლებს არ ჩამოუვარდება. სოფლის სკოლა გამართულია დიდსა და ორსართულიანს შენობაში. სკოლასთან გაშენებულია ბაღი და ბოსტანი. ქვემო სართულში სამი დიდი ოთახია კლასებისათვის და საგიმნასტიკო დარბაზი მოწყობილობით. კლასის კედლებზედ გაკრულია საგეოგრაფიო, საასტრონიმიო, საისტორიო, საანატომიო რუკები და დანიის გამოჩენილ კაცთა სურათები. კლასშივეა რიგზედ დაწყობილი: ცხოველებისა, ფრინველებისა, მწერთა და მცენარეთა კოლექციები, მაშინების სურათები, ქანდაკებანი და სხვა და სხვა. კლასშივეა პატარა ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს სკანდინავიის საუკეთესო მწერალთა ნაწერებს. დანიის სასოფლო სკოლაში ასწავლიან: ისტორიას, არითმეტიკას, ბუნების მეტყველებას დანიის კანონდებულობას. ბუნების მეტყველებიდგან ასწავლიან: ზოოლოგიას, ბოტანიკას, ფიზიოლოგიას, ანატომიას და პირველ დასაწყისს ფიზიკას. სოფლის სკოლაში ასწავლიან კანონდებულობას, თუ რა უფლება და რა მოვალეობა აქვს დანიელს გლეხს. დანიელი სკოლაში ყველაფერსა სწა-

სიმინდი. სიმინდის ფასი წელს უფრო ნაკლებია. ფუთი 55—60 კ. ღირს, ისიც ბათუმს მიაქვთ უცხოეთში გასატანად.

თივა. თივას შარშანდელზედ 15% მომეტებული ფასი აქვს, ფუთი—30—32 კ.

ბრინჯი. აქულას ბრინჯი, ფუთი 2 მ.—90 კ.—3 მ. ისყიდება, მეორე ხარისხისა-კი 2 მ.—70 კ.—80 კ.; ნუხიდგან მოტანილი ბრინჯი ისყიდება პირველის ხარისხისა, ფუთი 2 მ.—20 კ., მეორე ხარისხისა 1 მ. 70—80 კ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ერნესტ რენანი

(დასასრული)

(დარიგება სტუდენტებისათვის)

სკოლის პროგრამა გვასწავლის: „იშრომეთ და იმხიარულეთო“. სწორედ მოგახსენოთ, მე მხოლოდ პირველს ვასრულებდი, ე. ი. ბევრსა ვშრომობდი. იმ დროს, როცა სხვები ისვენებდნენ და მხიარულობდნენ, ვმუშაობდი, ვმეცადინეობდი. იქნება მე კარგად არ ვიქცეოდი. ამიტომ სიბერის დროს, იმის მაგიერად, რომ ზნეობის მქადაგებელი ვყოფილიყავ, მე ცოტა არ იყოს სიამოვნებასა და მხიარულებას მივეცი თავი. იქნება უკეთესი ყოფილიყო, რომ, როცა ჭაბუკი ვიყავ, ნაკლებად მეშრომნა და მეც სხვებსავით მემხიარულნა. აი ჩემი დარიგება: იშრომეთ მხნედ, მედგრად და ამასთან ერთად იმხიარულედ კიდეც; ნურას დროს ნუ მისცემთ თავს დაღლილობას. ადამიანის გონებას მხოლოდ ძალ-დატანება ჰღალავს. სრული თავისუფლება მიეცით თქვენს ტვინსა და გონებას, როცა ერთი საქმე დაგღალავთ, ახლა სხვა საქმეს მოჰკიდეთ ხელი და ამ გვარად მთელი სიცოცხლე შრომაში გაატარეთ. ერთმა მოხუცებულმა რაბინმა სთქვა: „კაკლით სავსე ბოჩკაში კიდევ ბევრი გენაგერჩაკის ზეთი ჩაისხმისო“. რა მშვენიერად არის ეს სიტყვა ნახმარი! ადამიანს შეუძლიან რამდენიმე საქმე ერთად აკეთოს, იმ პირობით-კი, რომ ჯერ ერთი საქმე გააკეთოს და მერე მეორე. თქვენი ცხოვრება ისე უნდა მოაწყოთ, რომ ტვინი მუდამ ამუშავოთ. არც ერთი წუთი მუქთად არ უნდა გაატაროთ. ლაპარაკის დროს, თუ ამ ლაპარაკის საგანი ძლიერ სამძიმო არ არის, გულის ყური ადევნეთ თქვენს ფიქრსა და აზრს. ასევე მოიქეცით სეირნობისა, სადილისა და სხვა დროსაც.

ეცადეთ ყოველთვის სინიდისიერად და კეთილად მოიქცეთ. თუ სინიდისი წმინდა არა გაქვთ, ძლიერ ძნელია შრომა და სიმხიარულეც-კი. თუ სინიდისი გქეჯნით, ვერაფერს საქმეს რიგიანად ვერ გააკეთებთ. ნურასოდეს ნუ ჰგმობთ და ნუ შეელახავთ სიყვარულს—ამ უწმინდესს გრძნობას. სიყვარული დასაბამია კაცობრიობისა. სიკვდილი არჩიეთ იმ ქალის ღალატს, რომელმაც ერთის წამით მაინც ედემის სიამოვნებით დაგატკბოთ. უდიდეს დანაშაულად მიგაჩნდეთ სიცოცხლე მიანიჭოთ თქვენს შვილს და შემდეგ მისთვის არ იზრუნოთ და ამ უზრუნველობისა გამო გააუბედუროთ. თქვენ სინიდისის ყმანი და ერთგულნი მოსამსახურენი ხართ და ამიტომ მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ ყოველის სინიდისიერის კაცის მოვალეობაა ერიდოს სიყვარულის გმობასა და შელახვას.

## უცხოეთი

**საფრანგეთი**. გაზ. „Times“-ის პარიჟელს კორესპონდენტს გამოუძებნია რენანის მანიფესტი, როდესაც იგი საკანონმდებლო კორპუსის კანდიდატად გამოვიდა, 1869 წლის მაისში. ეს მანიფესტი გვიჩვენებს, რა აზრისაც არის რენანი პოლიტიკის შესახებ და რამდენად ზომიერი ლიბერალია.

„ის აზრები, რომელსაც მე მივემხრობი და საკეთილოდ მივიჩნევ საკანონმდებლო კორპუსშიო, ამბობს რენანი: ოთხის სიტყვით გამოითქმის: „არც რევოლიუცია გვინდა, არც ომბრძოლა, მხოლოდ წინ-სვლა-წარმატება და თავისუფლება არის საჭირო“. ყოველ აქ გამოთქმულს აზრს რენანი განმარტავს, რადაც ვადგევარ ასეთს გზასა და არა სხვასაო. რევოლიუცია საჭირო არ არის, რადგან სულ ერთიანად აგვშლის-დაგვშლის და ომი და ბრძოლა-კი დიდად მავნებელი და მაზარალებელია ერისაო. საჭიროა, რომ ეხლავე უარი ვსთქვათ რომის ექსპედიციაზედ და თოფ-იარაღი ავიყაროთ. წარმატების გამო რენანი სწერს: „მე მსურს, რომ სასტიკად ვადევნებდეთ თვალ-ყურს ხარჯთ-აღრიცხვასა და ფინანსებს, საჯაროდ იყოს ხოლმე კრებანი დეპარტამენტისა და ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათა, ცუდ-უბრალო, გამოუსადეგარი ფულის ხარჯვა მოვსპოთ, განათლება გავავრცელოთ, განსაკუთრებით საერო განათლებაო. მე მსურს, რომ ქვეყნის ხარჯი და გარდასახადი უფრო თანაბარად იყოს განაწილებული. მიწას აქამდე მეტად დიდი ბეგარა და ხარჯი აწვა და ვეცდები ყოველი ღონე ვიხმარო, რომ ეს ბოროტი ავიცილოთ თავიდგან და გარდასახადის ერთი ნაწილი ფულს, კაპიტალს დავადოთ, რათა მიწამ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქოსო. რაც შეეხება თავისუფლებას, მე იმისი მომხრე ვარ, რომ დაბეჭდილ სიტყვას, მწერლობას სრული თავისუფლება მიეცეს, რომ ასევე თავისუფლად შეეძლოთ ხალხს თავ-მოყრა და მოლაპარაკება, ბაასი თავისის საქმეების გამო. რაც შეეხება სარწმუნოებას, აქ მხოლოდ თავისუფლება მსურს. ამ ჟამად ჩემი ნატვრა ის არის, რომ მღვდელი მარტო ეკკლესიაში იყოს გამგე-მმართველი და თვით-მმართველობისა და პოლიტიკის საქმეებში არ ერეოდეს; მერმისისათვის-კი ის არის სანატრელი, რომ ეკკლესია განცალკევებით, განსაკუთრებით იდგეს სახელმწიფოსაგან“.

ამ არჩევანებზედ რენანის მოწინააღმდეგეებად რამდენიმე კაცი გამოვიდა, მათ შორის მთავრობის კანდიდატი ვიკონტ დე-ჟოკური და ჟიულ-სიმონისა და იპოლიტე კარნოს მიერ მოწონებული რესპუბლიკელთა კანდიდატი პოლ დე-ჟუვანსელი. არჩევანებზედ ჟუვანსელმა გაიმარჯვა და კენჭიც იმას მეტი ამოუვიდა. ამბობენ, როდესაც იმპერატორმა განაცხადა, სამწუხაროა, რომ რენანმა ვერ გაიმარჯვაო, რენანმა უპასუხაო: „თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი კანდიდატი რომ უკანვე გაგებრუნებინათ და არჩევანებზედ უარი გეთქმევინებინათ, მე გავიმარჯვებდიო“.

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის სახელ-განთქმული მწერალი ემილ-ზოლა ვიდრე თავის ახალ თხზულებას „სასწაული რწმენისა“ დასწერდა, რამდენიმე სალოცავი ადგილი მოიარა და გამოსცადა მლოცველთა ცხოვრებაც. იმას წაბაძეს ახლა სხვა მწერლებმაც, სხვათა შორის, ინგლისელთ ყმაწვილმა მწერალმა, მორლეი რობერტსმა და მდაბიო ხალხის ცხოვრების ასაწერად თითონაც ისეთი ცხოვრება დაიწყო. მთელს დღეს შეუსვენრად მუშაობს, დაკონკილ ტანთსაცმელს იცვამს, იმავე საჭმელს სჭამს, როგორსაც ის გაჭირვებული მუშა-ხალხი, და იმათ შორის მასალას ჰკრეფს თავის წიგნისათვის. მაგრამ, როგორც სჩანს, ესეთის ცხოვრებით მუშა-ხალხს უფრო დაემსგავსება, ვიდრე ზოლას.

— ისპანიაში ერთი სწავლული ინჟენერი, ეჩიგარაი, რომელიც მუდმივი და დაუღალავი თანამშრომელია ჟურნალ „სამეცნიერო მიმოხილვისა“. ამასთან ეჩიგარაის დაუწერია და დაუბეჭდია ბევრი წიგნი ბუნების მეტყველების მეცნიერების შესახებ მდაბიო ხალხის გასაგებ ენით. ეს ინჟენერი შესანიშნავი დრამების მწერალიც არის. ძლიერ გავრცელებულა ეჩიგარაის თხზულებანი ამ ბოლო დროს გერმანიას, რომელიც დიდის თვალგადაფაცებით ადევნებს თვალ-ყურს თითოეულ ახალ ნაწერს შესანიშნავის ისპანიელისას. გამოვიდა თუ არა ეჩიგარაის უკანასკნელი თხზულება „მარიანნა“ ისპანურ ენაზედ, გერმანიის გაზეთებმა მთელს ქვეყანას მოჰფინეს ეს ამბავი. მაგრამ გერმანიაში ეს თხზულება თავისებურ სახელით მოჰნათლეს.

ისპანურ „მირიანნას“ გერმანულად დაარქვეს „ძალა უძლურებისა“. ასე მოუნათლავთ გერმანელებს ზემოხსენებული თხზულება, ალბად, შინაარსის მიხედვით, რადგან „მარიანნა“ გვიხატავს და გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ უხასიათო, სუსტი ადამიანი დიდს მხნეობას და ძალას იჩენს დანაშაულის ჩადენის დროსაო. გერმანიის გაზეთების სიტყვით, ეს თხზულება ბევრს მითქმა-მოთქმასა და დიდს ლაპარკს გამოიწვევსო.

—ფრანგულ „Journal-ში შემდეგი საუბარია დაბეჭდილი ემილ-ზოლოსი რენანის შესახებ.

— რენანი? ჰკითხავს მოსაუბრე ზოლას.

— რენანი? ჰო, ვიცი, გარდაიცვალა, დიდის ამბით დაასაფლავეს და განზრახვა აქვთ გადაიტანონ მისი გვამი მკლები პანთეონში.

— რას ჰფიქრობთ თქვენ იმ კაცის შესახებ?

— მე მგონია, რომ რენანი ძრიელ ჭკვიანი კაცი იყო, ძლიერ კარგად სწერდა ფრანგულად და მის ნაწერებში ბევრი მშვენიერი ადგილებაა. ზოგნი უსაყვედურებენ რენანს, რომ დამცინავ უარყოფის სწავლა-მოძღვრებამ შთანთქა მისი სიცოცხლეო, და გულგრილად შესცქეროდა თანამედროვე აზრთა მოძრაობას მწერლობაშიო. ეს უკანასკნელი საყვედური, მე მგონია, უფრო საფუძვლიანია; მართლაც, რენანი არც კითხულობდა რასმე, არც თავის თანამედროვე ხალხს იცნობდა.

შესაძლებელია, რომ მეტისმეტად ღრმად იყო გართული თავის მეცნიერობით საისტორიო კვლევა-ძიებაში და იმიტომ მოსდიოდა ეს.

შემდეგ მოსაუბრემ ჩამოუგდო ლაპარაკი ზოლას სწავლულ ბერტელოს კანდიდატობაზედ უკვდავთა აკადემიაში რენანის ადგილის დასაჭერად. ამაზედ ზოლამ სთქვა:

— ჰო, რასაკვრველია, რომ შესაძლოა ბერტელოს კანდიდატობაზედ ლაპარაკი. იმას ბევრი მეგობრები ჰყავს აკადემიკოსთა შორის. ბერტელოს კანდიდატობაზედ ჯერ მაშინაც იყო ლაპარაკი, როცა პასტერი ავად გახდა და კინაღამ ხელიდამ გამოგვეცალა. მგონი, ეს არც გასაკვირია, რომ ერთის სწავლულის ადგილი მეორე სწავლულმა დაიჭიროს, მაგრამ ჯერ მაინც ძნელია ითქვას, ვის აირჩევენ. ჩემს შესახებ თუ მკითხავთ რასმე, ყოველთვის ვინდომებ კანდიდატობას, ვინდომებ იმ დრომდე, ვიდრე თავს არ მოვაბეზრებ აკადემიასაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, მადლობა გამოვუცხადო სოფელ ტირძნისის მცხოვრებელს ალექსი დიმიტრის ძეს ზერეკიძეს, რომელმაც ხუთი თუმანი ფული შემოსწირა ჩემდამარწმუნებულს ტირძნისის სამრევლო სკოლას.

ტირძნისის სამრ. სკოლის მასწავლებელი
ს. ს—ოვი

## დეპეშა

8 ოქტომბერი.

**პეტერბურგი**. ყოველ წლიურ ანგარიშს გარდა, განზრახვა აქვთ ქალაქისა და ერობათა დაწესებულებათ ყოველივე ცნობანი მოსთხოვონ, რომ სამინისტრომ ყოველთვის კარგად იცოდეს ეკონომიური მდგომარეობა ერობისა ანუ ქალაქისა.

„Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ კომისიაა შემდგარი ფინანსთა სამინისტროს მმართველის თავმჯდომარეობით, რათა ცვლილებანი იქმნეს

---

ვლობს, რაც-კი საჭიროა სოფლის მემამულესთვის. დანიაში სამი სახელმწიფო სემინარიაა. კოპენჰაგენის სემინარიას უპირველესი ადგილი უჭირავს ევროპის სემინარიათა შორის. სოფლის მასწავლებელს (უფროსს) წელიწადში 600 კრონი (330 მან.) ჯამაგირი ეძლევა, სახლი და სახნავ-სათესი ადგილი, რომელიც თვით სოფელმა უნდა შეიმუშავოს ხოლმე. სკოლაში ორი უმცროსი მასწავლებელიცაა დაბალ კლასებში. დანიის სოფლის სკოლაში სულ სამი კლასია და პროგრამა-კი მეტად ვრცელი. ამიტომ დანიის მასწავლებელს დიდი ტვირთი აძევს. დანიის სოფლის მასწავლებელს სხვა კიდევ ბევრი საქმე აქვს სოფელში. მასწავლებელი წარმომადგენელია სოფლისა და დღესასწაულებში ორატორია ხოლმე, ხალხის ყრილობაში—თავმჯდომარე, ეკკლესიაში — მგალობელთა ლოტბარი, ლხინსა და გართობაში—ორკესტრის დირიჟორი. მასწავლებელივეა გამგე ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსი და მოთავე და რეჟისორი სათეატრო წარმოდგენებისა.

მთელს მრევლს „საბჭო“ განაგებს. დანიის სასოფლო საბჭო ბევრითა ჰგავს ჩვენს ქალაქის საბჭოს. საბჭო განაგებს სკოლას, სამკურნალოს, სოფლის პოლიციას. საბჭოსვე აქვს მინდობილი სასოფლო შემნახველ-გამსესხებელ ბანკის რევიზია და ცეცხლის მქრობელის რაზმის შენახვა. დანიის სოფელს ქალაქთან თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს. წელიწადში ერთხელ სოფლად მოვა ხარჯთ-ამკრეფი, სოფელი ხარჯს გადიხდის და მორჩა და გათავდა. დანარჩენ ყველა საქმეში სოფელი თავისის თავის ბატონია.

ამ თავისუფალს ქვეყანაში სცხოვრობს თავისუფალი, მშვიდი და გამრჯე ხალხი. დანიის გლეხი ძლიერ დინჯი, დაფიქრებული კაცია, ფულის დაზოგვა ძლიერ უყვარს, ასე რომ კრიჟანგი გეგონებათ, მაგრამ ამასთანავე სტუმრის მოყვარეა.

სამუშაო დღეს დანიელს, როგორც საფრანგეთის გლეხს, ლურჯი პერანგი აცვია. კვირა-უქმე დღეს-კი დიდკაცურად იპრანჭება. სადღესასწაულო ტანთსაცმელს იცვამს შავის მაუდისას. გულზედ ძეძკვით საათს ჩამოიკიდებს და თითებზედ ბეჭდებს იკეთებს. დანიელი ძლიერ სუფთადა და ფაქიზადა სცხოვრობს. მთელი ოჯახი ერთადა სჭამს სადილსა და ვახშამს. ოთახში სდგას დიდი, რგვალი სტოლი. ოთახს ჭერში ჩამოკიდებული ლამპარი ანათებს. ჭურჭელს ფაიანსისას ხმარობენ. სადილად ლუდსა ჰსმენ. ოჯახის პატრონისთვის სტოლზედა სდგას ერთი ჭიქა კონიაკი. ყველა ოჯახში ყოველ დღე ხორცსა და თევზს შეექცევიან.

საზოგადოდ დანიის გლეხი შეძლებულია. გლეხს მუდამა აქვს ორიოდე გროში გადადებული. თუ ვაჟიშვილი ნიჭიერი ყმაწვილი გამოადგა, კოპენჰაგენსა ჰგზავნის სასწავლებლად. მამა-პაპეული მამული არ გაიყოფება. მამულის მემკვიდრე მარტო უფროსი ვაჟია. ოჯახში რჩება მხოლოდ უფროსი ვაჟი და იმის მომდევნო. დანარჩენს ძმებს მამულში წილი არა აქვთ და ქალაქებში მიდიან სამუშაოდ. დანიის მეურნეობა ძლიერ განვითარებულია.

ერთის სიტყვით, დანიელი გლეხი მართლა რომ ჩინებულადა სცხოვრობს და არც-კი იცის რა არის სიღარიბე. მთხოვარა გლახას მთელს დანიაში ვერ შეხვდებით. ეს ამბავი იქნება გაგიკვირდეთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მართალია. დანიელი გლეხი შეძლებული, თავისუფალი და შეგნებული კაცია. გლეხი თითონვეა მთელის დანიის პატრონი. დანიის პალატაში (ფოლსტინგში) დეპუტატთა უმეტესს ნაწილს და უმთავრესს დასს სოფლის დეპუტატები შეადგენენ. დანიის გლეხი პოლიტიკაში არ ერევა, კრონებს-კი ძლიერ ინახავს და დანიის ბისმარკს, უფროსს პრეზიდენტს ესტრუპს (ესტრუპი 1875 წლიდგან პრეზიდენტობს) ძლიერ უჭირს ხოლმე სახელმწიფო შემოსავალის მომატება, რადგანაც პალატის უმთავრესი დასი—სასოფლო დეპუტატები—ძლიერ დიდს წინააღმდეგობას უწევს ხოლმე, როცა-კი პრემიერ-პრეზიდენტი სახელმწიფო გარდასახადის მომატებას მოისურვებს.

აბრა

